ოქმი N13

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2020 წლის 29 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობამდე, სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა დამდეგი შობა ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ, ასევე ისაუბრა COVID ვირუსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს გაუმკლავდეს პანდემიას და იმედი გამოთქვა 2021 წელს შესაძლებელი იქნება მსოფლიოს მხრიდან ვირუსის დამარცხება.

დღის წესრიგი:

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და 2021 - 2024 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების გაცნობა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

5. „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“; განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა; განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: კ. ნასარაია, კ. გოქაძე, ფ. შონია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: თ. გელანტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია ფრაქციისთვის სახელწოდების ცვლილების თაობაზე, რომლის საფუძველზეც ფრაქციას ეწოდა „ქართული ოცნება - 20/20". კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ფრაქციის სახელწოდების ცვლილებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N68 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიღებულ იქნეს ცნობის სახით

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მცირდება შემოსავლები 235,7 ათასი ლარით. კერძოდ, 235,7 ათასი ლარით მცირდება შემოსავალი მუხლიდან „გრანტები“. პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება იზრდება 293,6 ათასი ლარით; „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციი მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 16917,3 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიმშარიანი, რ. სერგია, კ. ნასარაია, კ. მიქაბერიძე, ფ. შონია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და 2021 - 2024 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების გაცნობა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი და 2021 - 2024 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტები.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა 2021 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბიუჯეტი შეიძლება იდეალური ვერ იყოს, მაგრამ მაქსიმალურად არის მოსახლეობის ინტერესებთან მიახლოებული. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით შემოსავლები განისაზღვრა 10039,0 ათასი ლარით აქედან: გადასახადები 9134,6 ათასი ლარი, გრანტები 210.0 ათასი ლარი (აქედან: 210,0 ათასი ლარი - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად), სხვა შემოსავლები 694,4 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტით ხარჯები

განისაზღვრა 8713,5 ათასი ლარით. აქედან: შრომის ანაზღაურება 2042,9 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება 1369,7 ათასი ლარი, პროცენტი 37,0 ათასი ლარი, სუბსიდიები 4554,6 ათასი ლარი, გრანტები 30,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 489,4 ათასი ლარი და სხვა ხარჯები 189,9 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 1325,5 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 1265,5 ათასი ლარით. აქედან: ზრდა 1295,5 ათასი ლარი, კლება - 30.0 ათასი ლარი. ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 60 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10069,0 ათასი ლარით, აქედან: შემოსავლები - 10039,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება - 30.0 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 10069,0 ათასი ლარით, აქედან: ხარჯები - 8713,5 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 1295,5 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება - 60,0 ათასი ლარით. გამომსვლელის განცხადებით, 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტში გათვალისწინებულია კომისიის მიერ შემუშავებული შენიშვნები და წინადადებები. აღსანიშნავია, რომ მერიის მხრიდან დარღვეულია ვადა ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში წარდგენასთან დაკავშირებით. სხვა მხრივ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება მიულოცა როგორც წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებს და იმედი გამოთქვა რომ ერთობლივი კოორდინებული მუშაობით 2021 წელი მუნიციპალიტეტისთვის უფრო უკეთესი იქნება ვიდრე 2020 წელი.

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი

სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი);

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა რეორგანიზაცია და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შეიქმნა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. კანონის თანახმად, „მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი“. ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განყოფილებაში შესაძლებელი იქნა მხოლოდ ბავშვისა და ოჯახის

სოციალური მუშაკის თანამდებობის, ხოლო საქართველოს პარლამენტიდან მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ასევე ბავშვის დაცვის ინსპექტორის თანამდებობის გათვალისწინება. მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი ცვლილებით, მოსალოდნელი ვაკანტური თანამდებობა ასევე გარდაიქმნება ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტის თანამდებობად და კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან 2021 წლის 1 იანვრისთვის განყოფილება დაუკომპლექტებელი რჩება მხოლოდ ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტის და ბავშვის ფსიქოლოგის თანამდებობებით. 2021 წლის 1 იანვრიდან ასევე ძალაში შედის საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ", რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას ემატება სოციალური მუშაობის ჩატარება და შესაბამისად განსასაზღვრია სათანადო თანამდებობაც. ორივე ზემოთ ხსენებული კანონის სრულად ამოქმედებისთვის 2021 წლის იანვრიდანვე დაგეგმილია მუნიციპალიტეტებისთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების დელეგირება და მკაცრი კონტროლის მექანიზმების ამოქმედება. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მიზანშეწონილად ჩაითვალა, შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს დამატებოდა 3 თანამდებობა, მათ შორის 2 - საშტატო ნუსხით პროფესიული საჯარო მოხელისთვის გათვალისწინებული თანამდებობა, ხოლო 1 - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული პოზიცია, კერძოდ: ა) სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში ემატება: ა.ა) მესამე რანგის თანამდებობა - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ბავშვის სამართლებრივი დახმარების საკითხებში, 800 ლარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ა.ბ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოზიცია - ბავშვის ფსიქოლოგი (საჭიროების შემთხვევაში საჭირო ვადით ფსიქოლოგის დაქირავებისთვის). ბ) სამსახურის უფროსის უშუალო დაქვემდებარებაში ემატება მესამე რანგის თანამდებობა - მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სოციალური მუშაკი, 700 ლარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებების უზრუნველყოფის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლითაც საშტატო ნუსხაში გათვალისწინებულია პროფესიულ საჯარო მოხელეთა ახალი თანამდებობები,

ხოლო რაც შეეხება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის (ბავშვის ფსიქოლოგი) გათვალისწინებულ პოზიციას, ვინაიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შევსებულია „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ზღვრული ოდენობა, საჭიროების შემთხვევაში, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის დამტკიცების შემდგომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში არამუდმივი ან/და დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)

5. „ევროპის მუნიციპალიტეტია და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ" შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი);

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის

შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიერ, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში, წარმოდგენილი იქნა „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, რომელიც მომზადებულ იქნა ევროკომისიის მხარდაჭერით, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის V სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში. ქარტია გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისათვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისთვის. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, საკრებულოს მხრიდან ხობის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (CEMR) მიწვევით, ხობის მუნიციპალიტეტის სახელით, ხელი მოაწეროს და შეუერთდეს ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ ევროპულ ქარტიას. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა; განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: მ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: მ. იოსავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარენ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომას ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა, საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე (ვ. ქანთარია), გამომდინარე აქედან სთხოვა ამავე კომისიის უხუცეს წევრს (გ. ქამანაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

გ. ქამანაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020წ-2023წ) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში, მიზნების დასახვასა და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მასში გარკვეული კორექტივების შეტანის შემდეგ პროექტი დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიმშარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N33 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ჯ. ბერაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი)

მოისმინეს: ჯ. ბერაია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში იყო ხარვეზები, რომელიც ბიუროს სხდომაზე იქნა გაჟღერებული კომისიის თავმჯდომარის მხრიდან და რომელსაც თვითონაც ეთანხმებოდა.

მცირეოდენი შესავლის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მთელს ქვეყანაში და ასევე, შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში მოსამსახურეთა ნაწილისთვის დაწესებულია დისტანციური

სამუშაო რეჟიმი. უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში მერიის მოსამსახურეთა შორის დაფიქსირებული ინფიცირების შემთხვევების გამო, მოსამსახურეთა ნაწილი იმყოფება კარანტინში ან თვითიზოლაციაში. 2020 წლის 25 ნოემბერს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხელეს დაუდასტურდა Covid ინფექცია, რის გამოც მასთან უკანასკნელ დღეებში კონტაქტში მყოფი პირები - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ყველა თანამშრომელი გადასულია თვითიზოლაციაში და სამუშაოს ახორციელებენ დისტანციურ რეჟიმში. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის დისტანციური სამუშაო რეჟიმის დაწესების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 1 ივლისის №01-331-01 ბრძანებით დადგენილია, რომ „დისტანციურ სამუშაო რეჟიმში მყოფი მოსამსახურეები, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ადგილზე უზრუნველყოფილნი იქნენ სათანადო ტექნიკური საშუალებებით, მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსის წინადადებით, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსთან შეთანხებით". მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, გარდა თვითიზოლაციაში მყოფი, დისტანციურ რეჟიმში მომუშავე მოხელეების სამსახურის სარგებლობაში არსებული ტექნიკით უზრუნველყოფისა, მიზანშეწონილად ჩაითვალა, მათთვის ასევე გაზრდილიყო ფიჭურ სატელეფონო ნომრებზე დაწესებული ლიმიტები, სახლის პირობებში ინტერნეტით სარგებლობისთვის, რისი უზრუნველყოფისთვისაც, „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებით განსაზღვრული დროებითი გამონაკლისების დაშვების მიზნით მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების მიღება, გამომდინარე იქედან, რომ მერიის მოსამსახურეთათვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების ლიმიტები განსაზღვრულია „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებით, რომლითაც დადგენილია როგორც მხარჯავი სუბიექტი, ასევე ლიმიტები, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მართებულია ცვლილებები იქნეს შეტანილი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების

ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში.

აზრი გამოთქვეს; გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ეთანხმება საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნას და მიმართა მერიის იურიდიული განყოფილების უფროსს გაეთვალისწინებინათ წარმოდგენილი შენიშვნები.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 0, წინააღმდეგი -- 24

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიმკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია)

დაადგინეს: მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთათვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ლიმიტების დროებით ცვლილებაზე ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების მიღება და მიეცა რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის მერიას კომიისიის წინადადების საფუძველზე საკრებულოს შემდეგ სხდომაზე წარმოედგინა შესაბამისი ცვლილების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში".

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმთან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალურ პროგრამაში ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია კორონავირუსის გავრცელებასთან და მისგან გამოწვეულ სიკვდილიანობასთან, მიზანშეწონილად ჩაითვალა მუნიციპლიტეტში მცხოვრები კორონა ვირუსის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქის ცხედრის გადასატანი ჩანთით უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ: დაემატა მუხლი კორონა ვირუსის შედეგად გარდაცვლილი მოქალაქის გვამის გადასატანი ჩანთით უზრუნველყოფა და ხარჯი განისაზღვრა 450 ლარით (15 გვამის გადასატანი ჩანთის შესაძენად), რომლის საფუძველზეც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია, ტ. ალექსანდრია)

გადაწყვეტილება მიღებულია

9. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ განკარგულების პროექტში ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის ღონისძიებებს ახალი მუხლი არ დამატებია, ნაგრამ 2020 წლისგან განსხვავებით, პროგრამის გარკვეულ მუხლებში გასაცემელი დახმარების ოდენობის გაიზარდა, კერძოდ:

1. მრავალშვილიანთა ერთჯერადი დახმარების ოდენობა გახდა 200 ლარი, ნაცვლად 150 ლარისა.
2. არასრულწლოვან ობოლთა დახმარების ოდენობა გახდა 250 ლარი ნაცვლად 150 ლარისა.
3. 100 წლის და ას წელს გადაცილებულის დახმარების ოდენობა გახდა 200 ლარი ნაცვლად 150 ლარისა.

4. ახალშობილთა ოჯახების დახმარების 1-2 შვილზე გახდა 200 ლარი ნაცვლად 100 ლარისა.

5. დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარების ოდენობა გახდა 150 ლარი ნაცვლად 100 ლარისა.

6. საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების ოდენობა (300 ლარი და ზემოთ, ნაცვლად 500 ლარისა) გახდა 0%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 1500 ლარისა , ნაცვლად 1000 ლარისა.

8. ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის დახმარების ოდენობა გახდა 150 ლარი ნაცვლად 100 ლარისა.

9. შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსების მუხლი გახდა 18000 ლარი ნაცვლად 10000 ლარისა. ვინაიდან ამ მუხლში დაემატა ონკოლოგიურ დაავადებაზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების, ბიოფსიის დაფინანსება (ერთჯერადად).

10. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების მუხლი გახდა 4500 ლარი ნაცვლად 2600 ლარისა.

11. ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის დახმარების მუხლი გახდა 30000 ლარი ნაცვლად 35000 ლარისა. გამომსვლელის განცხადებით,ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N35 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომას სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 2020 წელთან შედარებით 6000 ლარით (გათვალისწინებულია ხელფასების გაზრდა). გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, რ. სერგია, კ. გოქაძე, კ. ლატარია, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N36 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. კახა ლატარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. მერაბ ფილიპია
10. თენგიზ აბაკელია
11. აკაკი ხურცლავა
12. გოჩა ჯობავა
13. დავით ცინაძე
14. ფრიდონი შონია
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. ნიკოლოზ ვეკუა
18. გენადი ქამანაია
19. კობა გოქაძე
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. ია ჯიშკარიანი
23. როლანდ სერგია
24. კოსტანტინე ნასარაია
25. იგორი გოგოლაძე
26. გიგა ნასარაია
27. ლაშა ცატავა
28. ავთანდილ ხუნჯუა